გიორგობანი

აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის
ყოველთვიური საინფორმაციო ორგანო

№9 (39) სექტემბერი 2010 წელი

წმ. ქეთევან წამებული

აკაკი წერეთლის საიუბილეოდ

ბიულეტენი გამოდის ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ დანიელის (დათუაშვილის) ლოცვა-კურთხევით 2007 წლის ივლისიდან

27 სექტემბერი

გზა განწმენდისა

27 სექტემბერი, ჯვართამაღლების დღე, საქართველოს უახლეს ისტორიაში ტრაგიკულ მოვლენას უკავშირდება — სოხუმის დაცემას, აფხაზეთის მოწყვეტას დედასაქართველოსგან. ამ დღეს, უკვე 17 წელია, აფხაზეთის საზოგადოება და სრულიად საქართველო სხვადასხვა ღონისძიებას უძღვნის, იხსენებს მამულისათვის შეწირულ გმირებს, ეფერება ტრაგედიაგამოვლილ ოჯახებს დ მომავლის იმედს აღვივებს. წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ 1992-1993 წლების ტრაგიკულ მოვლენებს მიუძღვნა რიგი ღონისძიებებისა, გვირგვინებით შეამკო დაღუპულთა მემორიალი გმირთა მოედანზე, საქართველოს მუსიკალური ცენტრის საკონცერტო დარბაზში ჩატარდა საღამო „27 სექტემბერი“. შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა და დალოცა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა დანიელმა (დათუაშვილმა), აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე გიორგი ბარამიამ, ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარე ნუგზარ ცაგარეიშვილმა, ყოფილი გაგრის ბატალიონის მეთაურმა მურთაზ ჭელიძემ, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ანზორ წოწონავამ, აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის თავმჯდომარე სვეტლანა ქეცბამ, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრმა, ისტორიკოსმა ჯემალ გამახარიამ, საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა ლორენა პაპუაშვილმა. ქართულად და აფხაზურად ლექსები წაიკითხეს მოსწავლეებმა ლაშა გეგელიამ და ინალ ქუჩუბერიამ. საღამოს თან სდევდა მშვიდობიანი პერიოდის აფხაზეთის, აფხაზეთში ომის დასაწყისის, გაგრის დაცემის, 1993 წლის მარტის შემოტევის, ტამიშში რუსული დესანტის გადმოსხმისა და სამშვიდობო მოლაპარაკების, სოხუმის დაცემის, ჭუბერის უღელტეხილზე დევნილთა გადმოსვლის ამსახველი კადრები. აფხაზეთის კაპელას ვაჟთა გუნდმა შეასრულა საგალობელი „წმინდაო ღმერთო“, „შენ ბიჭო ანაგურელო“, „სიმღერა კლდეზე“ (აფხაზურად), აფხაზეთის კაპელამ — „ლაკრიმოზა“; აჩიკო ნიჟარაძემ შეასრულა სიმღერა „სოხუმო“. ნაჩვენები იყო კლიპი „გამარჯობა, აფხაზეთო, შენი“.

საღამო მოამზადა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს შემოქმედებითმა ჯგუფმა ოთარ პერტახიას, ბადრი წერედიანის, კახაბერ ძაძამიას, მუხრან აფაქიძის, მამუკა ჟვანიას შემადგენლობით; დასასრულს აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრმა დალი ხომერიკმა მადლობა გადაუხადა საღამოს ორგანიზატორებს.

„გზა აღდგომისა და ამაღლებისაკენ“

27 სექტემბერი საქართველოს უახლეს ისტორიაში ყველაზე ტრაგიკული დღის გახსენებაა, მაგრამ თუ ჩვენ ყოველივეს, რაც დატრიალდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, შევხედავთ სულიერი თვალით, შვხედავთ ბიბლიური თვალთახედვით, ჩვენ დავინახავთ, რომ ეს ტრაგედია იყო გარდაუვალი, რადგანაც თავისუფლებისათვის ბრძოლა მსხვერპლის გარეშე არ არსებობს... მაგრამ ჩვენ კი არ უნდა შეგვაშინოს ამან, პირიქით, ჩვენ ამ ტრაგედიამ უნდა დაგვანახოს ჩვენი ხვალინდელი დღე, რომელიც სავსეა სიკეთით, გამარჯვებით, გამთლიანებით, შერიგებით, რადგანაც აღდგომა და ამაღლება მოსდევს ჯვარცმას და სიკვდილს. ჭეშმარიტი აღდგომა და ამაღლება, რომელიც კაცობრიობას მოუტანა მესიამ, იესო ქრისტემ, მოუტანა თავისი სიკვდილით, თავისი ჯვარცმით და სწორედ მხოლოდ ჯვარცმით, მხოლოდ სიკვდილით, ძველი ადამიანის სიკვდილით შეიძლება დაიბადოს ახალი ადამიანი. და საქართველო დღეს გადის განწმენდის გზას იმ მძიმე ცოდვებისაგან, რომლებიც მას ჰქონდა ბოლო საუკუნეებში და განსაკუთრებით მეოცე საუკუნეში... უფალმა დაუშვა აფხაზეთი, დაუშვა სოხუმის ტრაგედია და ეს იმიტომ, რომ ქართველმა ერმა უნდა გაიაროს გოლგოთის გზა, გზა განწმენდისა, გზა ჯვარცმისა, გზა სიკვდილისა, მაგრამ გზა, რომელსაც მიჰყავს ადამიანი აღდგომისა და ამაღლებისაკენ. და ჩვენ ამ გზაზე ვდგავართ და უნდა პატივი ვცეთ ჩვენს ჯვარს, ჯვარს, რომელზედაც გაგვაკრა უფალმა, რადგანაც სწორედ ეს ჯვარი გვაცხოვნებს ჩვენ. ჩვენი სარწმუნოება არის „სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი“. დღეს არის ერთდროულად დღე დიდი წუხილისა, მწუხარებისა, გახსენებისა იმ ტანჯვისა, რომელიც ჩვენმა ახლობლებმა გამოიარეს, ყოველმა ჩვენგანმა, ჩვენმა ოჯახებმა გამოირეს და დღეს-აც ჯერჯერობით ეს ჯვარი მძიმეა, მაგრამ, ამავე დროს, მოლოდინი იმ დიდი გამარჯვებისა, იმ დიდი ამაღლებისა, რომელიც ელოდება საქართველოს.

მხნედ იყავით, განძლიერდით და ესევდით უფალსა, ქრისტესმიერ საყვარელნო დანო და ძმანო და ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ.

მეუფე დანიელი,
ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი

გზა შერიგებისა და ჩატეხილი ხიდის აღდგენისა

სიყვარული, როგორც ბრძანა მეუფე დანიელმა, არის ერთადერთი გზა შერიგებისა და ჩატეხილი ხიდის აღდგენისა. ორივე ერი განწირულია. ოკუპირებულ აფხაზეთში არ არის უკეთესი მდგომარეობა. მე მესმის, რომ ჩვენს დევნილ მოსახლეობას ძალიან უჭირს დღეს. ქვეყნის ხელისუფლება აკეთებს ყველაფერს მათი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, მაგრამ არავის აქვს უფლება, დევნილების უბედურებაზე თავისი პოლიტიკური კარიერა ააგოს. ჩვენ თუ ერთმანეთს არ დავუდექით მხარში, და სწორედ ჩვენი ურთიერთსიყვარულიდან გა-

(გაგრძელება მე-4 გვ.)

(დასაწყისი მე-3 გვ.)

მომდინარე, ხელიხელჩაკიდებულმა არ ვიბრძოლეთ ჩვენი მომავლისათვის, იგივე აფხაზეთისთვის, ამ სიტუციიდან ვერ გამოვალთ. ქვეყნის ხელისუფლება ამისათვის აკეთებს ყველაფერს და ჩვენ გვაქვს ამის მაგალითი ამ ბავშვების სახით. დღეს წილად გვხვდა ბედნიერება ვყოფილიყავით უწმიდესთან და უნეტარესთან, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან ილია მეორესთან. არ ველოდით, რომ დაღუპულთა სულების მოსახსენებელი პანაშვიდის შემდეგ იგი მიგვიწვევდა საპატრიარქოში. მან კიდევ ერთხელ მოგვცა სტიმული იმისა, რომ აუცილებლად დავბრუნდებით აფხაზეთში და საქართველო გამთლიანდება.

გიორგი ბარამია,
აფხაზეთის მთავრობის
თავმჯდომარე

აკაკი წერეთლის საიუბილეოდ

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II თანმხლებ პირებთან ერთად 2010 წლის 17-19 სექტემბერს ჭიათურისა და საჩხერის ეპარქიას ეწვია სტუმრად. ეპარქიის პირველივე დასახლებული პუნქტის შესასვლელში მის უწმიდესობას შეეგება ეპარქიის მმართველი მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვლი) სამღვდელოებასა და მრევლთან ერთად. ზემო იმერეთში უწმიდესთან შესახვედრად მორწმუნეები პერევიდანაც ჩამოვიდნენ.

დილის 10 საათიდან თავმოყრილი მოსახლეობა ჯვარ-ხატებით იდგა დახვედრის ადგილას და სამღვდელოებასთან ერთად ლოცვებს აღავლენდა მაღალი სტუმრის ღირსეულად დახვედრისათვის, შემწეობას შესთხოვდა უფალს, ღვთისმშობელსა და წმინდანებს. და სასწაულის მხილველი გახდა ასობით მომლოდინე ადამიანი და სამღვდელოება — კაცხის მაცხოვრის, ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის, მსწრაფლშემსმენელი ხატისა და წმიდა გიორგის ორი ხატიდან დენა დაიწყო მირონმა, ხატები ჯერ დაიცვარა მინის შიგნით და შემდეგ ღარებად დაიწყო დენა. სწორედ ამ ხატებით მიეგება მრევლი და სამღვდელოება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის შემობრძანებას ეპარქიაში. 17 სექტემბერს მისი უწმიდესობა ეწვია აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმს, რომლის ეზოშიც მოსწავლე ახალგაზრდობამ გაუმართა მცირე კონცერტი. ეზო და მიმდებარე ტერიტორია ვერ იტევდა ხალხს. პატრიარქმა საჩხერის მოსახლეობას აკაკი წერეთლის საიუბილეო დღეები მიულოცა და აკაკის შემოქმედების წვლილზე საქართველოს წინაშე ბრძანა:

„ერთი ამერიკელი ქალბატონი მეკითხებოდა, როგორ განვმარტავდი, ვინ არის ქართველი ადამიანი. მე ვუთხარი, რომ ქართველი ადამიანი არის ცეცხლი და წყალი ერთად შერწყმული. ვინ არის აკაკი? აკაკი არის ცეცხლი და წყალი და ამავე დროს არის საქართველოს წინაშე ანთებული სანთელი, რომელიც არასდროს არ დაიშრიტება, რომელიც უნათებს ქართველ ადამიანს გზას სასუფევლისკენ“.

მისმა უწმიდესობამ 18 სექტემბერს ჭიათურაში წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის საკათედრო ტაძრის საძირკველი აკურთხა, მოინახულა და მოილოცა კაცხის სვეტისა და კაცხის მაცხოვრის სახელობის მონასტრები. კათოლიკოს-პატრიარქმა კაცხის სვეტის მონასტერი დააჯილდოვა წმიდა ილია თეზბიტელის სახელობის ოქროს პანაღიით, რომლის მანტიის ქვეშ ტარების უფლება გადაეცა მონასტრის წინამძღვარს, ამჟამად ბერ-მონაზონ მაქსიმეს (ქავთარაძე). ასევე მიტრის ტარების უფლებით დაჯილდოვდა კაცხის მონასტრის წინამძღვარი, დეკანოზი ამირან მოდებაძე, ხოლო ჭიათურმანგანუმის ტრესტის დირექტორი, ბატონი აკაკი გურჯიძე ეპარქიისა და რაიონის წინაშე გაწეული დიდი ღვაწლისათვის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი — წმინდა გიორგის სახელობის ოქროს ორდენით. 19 სექტემბერს უწმიდესმა და უნეტარესმა საჩხერის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში აღავლინა საკვირაო წირვა და მღვდელ-მონაზვნად დაასხა ხელი ბერ-დიაკვან ანდრიას (სირბილაძე), ხოლო ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი დავით კაციტაძე ეკლესიაში 30-წლიანი ერთგული სამსახურისათვის დააჯილდოვა მეორე გამშვენებული ჯვრის ტარების უფლებით, ქართული ჯარის გენერალი, ბატონი სამსონ (სოსო) ქუთათელაძე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი — წმინდა გიორგის სახელობის ოქროს ორდენით. წირვის შემდეგ გაიმართა საზეიმო სადილი და მცირე კონცერტი. იმავე საღამოს ეპარქიის სამღვდელოებამ და მრავალრიცხოვანმა მრევლმა კათოლიკოს-პატრიარქი ეპარქიის საზღვრამდე გააცილა.

უწმიდესისა და უნეტარესის მიწვევით ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის თავმჯდომარე სვეტლანა ქეცბამ.

„პირველად იყო სიტყვა...“

„.. ყოველი საიდუმლო
ამას ენასა შინა დამარხულ არს“
იოანე ზოსიმე

აკაკი წერეთელი

ნაწყვეტი პოემა „თორნიკე ერისთავიდან“

ერთხელ ათონში ასტეხეს რეკა
და უჩვეულო იწყეს ღაღადი.
ასე ამბობდენ, რომ სასწაული
სუყველამ ერთად ვნახეთო ცხადი:

მოსცურა ახლოს ღვთისმშობლის ხატმა
და დაიყენა თავს ნათელიო.
გამოსვენება გვინდოდა, მაგრამ
არ მოიკიდა ჩვენი ხელიო.

ყველა ვერ ჰხედავს: ღამით ნათელი
და დღისით რაღაც ნისლი ჰბურავსო;
ჩვენ როცა ნავით ვუახლოვდებით,
ის არ გვიკარებს, შორს მისცურავსო.

მისი სიწმინდის შეხების ღირსი
აღარ აღმოჩნდა არცა ერთიო.
სჩანს, ჩვენი ცოდვა დიდი ყოფილა
და გვირისხდება მაღლით ღმერთიო!

ასე სტირიან წმინდა მამები,
მარხვას და ლოცვას იორკეცებენ;
აღთქმებსაც სდებენ საკანონოდა
და ღირსს მათსავე გუნდში ეძებენ.

მაგრამ არ იქნა, სანამდის მილში
არ ნახა ერთმა ბერმა ჩვენება:
გამოეცხადა მას დედაღვთისა
და განუცხადა მაღალი ნება:

– „ამაოდ შფოთავთ, წმინდა მამებო,
არაფერი გაქვთ ღმერთთან ბრალიო.
არც ჩვენთანა ხართ თქვენ დამნაშავე,
არა ვარ თქვენზე მე გამწყრალიო.

მაგრამ მე თქვენთვის აქ არ მოვსულვარ,
სხვა არის ჩემი წმინდა ნებაო,
და თქვენგან არვის არ შეუძლია
ჩემი აქედან წასვენებაო.

ჩემ სადიდებლად რომ აუგიათ
ივერიელთა აქ ტაძარიო
და ყველასათვის შიგ შესასვლელად
მათ გაუღიათ მისი კარიო,

იქ სცხოვრობს ერთი მოხუცი ბერი,
ივერიელი გაბრიელიო,
და ნათლით მოსილს იმ ჩემ მლიერ ხატს
იმან შეახოს მხოლოდ ხელიო,

რომ მიიტანოს და დაასვენოს
შესავალ კართან საკვირველიო,
და იმ დღიდანვე სასწაულმომქმედს
დაერქვას: „კარის ღვთისმშობელიო!“

გამხიარულდენ წმინდა მამები,
იწყეს შესხმითი წმინდა გალობა;
უვლიდენ ტაძრებს კელაპტრებითა,
გახშირდა საღმრთო ლიტანიობა;

წინ მიუძღვოდა იმათ თორნიკე
და იოვანე მცირე კრებითა,
და ივსებოდა იმათი გული
მომეტებულის ნეტარებითა.

მიიღეს ხატი და დაასვენეს
დანიშნულს ადგილს სიხარულითა
და ივსებოდა წმინდა ტაძარი
იმავე დღიდან სასწაულითა.

მაგრამ ყველაზე შესანიშნავი
იხილეს მაშინ ერთი ჩვენება,
რომლისაც მსგავსი ჯერ არ ენახათ
და არც ყოფილა სადმე ხსენება:

გამოიხატა ცაზე გვირგვინი,
ვარსკვლავებისგან გამოჭედილი,
დაადგა თავზე ივერთ მონასტერს
და გაანათა წმინდა ადგილი,

და ნათლის სხივებს აელვარებდა
დიდხანს, სანამდის არ დადგა დილა!...
შემდეგაც თურმე არა ერთგზისა
იმავე ადგილს გამოჭედილა.

დღეს ის ნიშანი კი აღარა სჩანს:
დიდი ხანია, რაც რომ გამქრალა...
უეჭველია, ჩვენს გულგრილობას
გაჰრისხებია!... ჩვენზე გამწყრალა!...

მაგრამ სულმნათსა საქართველოსას,
ღვთისმშობლობა დღეს, ერთი სიზმარი
ენახა: ქვეყნად ჩამოსულიყვნენ
ნინო, ქეთევან და თვით თამარი.

თამარს თავს ედგა მლევის გვირგვინი
და ქეთევანსა — წმინდა მოწმობის,
ნინოს ხელთ ეპყრა ჯვარი ვაზისა,
ნიშანი დიდი ქრისტიანობის.

ზეცად აეპყრათ სამთავეს თვალნი,
საქართველოსკენ აშვერდენ ხელსა
და შეერთებით, ხმაშეწყობილად,
ჰგალობდენ ტკბილსა საგალობელსა:

– „დედაო ღვთისავ! შენი ხვედრია
ეს საქართველო დიდჭირნახული,
შეუნდევ ცოდვა!.. ნუ ააღებ ხელს,
ლმობიერებით იბრუნე გული!...

მოეც კურთხევა ზეცით, მაღალო,
და გადმოსახე მლიერად ჯვარი,
რომ აღადგინო ქართველთა ერი,
დღეს დაცემული და ცოცხალ-მკვდარი!

მისსა მხნეობას, მისსა ზნეობას
განუმტკიცებდე აღმაფრენასა
და შენს საქებრად, სადიდებელად
ნუ დაავიწყებ ამ ტკბილ ენასა,

რომლითაც თამარ ბრძანებას სცემდა
ქეთევან მარად შენ გადიდებდა
და ნინო მისა შენისა მცნებას
შენგან რჩეულ ერს უქადაგებდა!...“

რომ გაათავეს თურმე ეს ლოცვა,
ზეცას შეჰხედეს სამთავემ ნელა
და დაინახეს, რომ მველ ადგილზე
გამოესახათ მათ ცისარტყელა...

წმიდა დიდმოწამე, საქართველოს მნათობი კახეთის დედოფალი ქეთევანი (+1624) 13 (26) სექტემბერი

წმიდა ქეთევანი იყო აშოთან მუხრანბატონის ასული. კეთილგონიერი და მორწმუნე ქეთევანი კახეთის მეფის, ალექსანდრეს უფროს ვაჟზე, დავითზე დააქორწინეს. მეფე ალექსანდრეს კიდევ ორი ვაჟიშვილი ჰყავდა — გიორგი და კონსტანტინე. კონსტანტინე შაჰ-აბასის კარზე იზრდებოდა ბავშვობიდანვე და რჯულიც გამოცვლილი ჰქონდა.

ალექსანდრე მეფე ბერად აღიკვეცა ალავერდის ტაძარში. ტახტზე დავითი ავიდა, მაგრამ ოთხიოდ თვეში, 1602 წელს, კახეთის ახალგაზრდა მბრძანებელი მოულოდნელად გარდაიცვალა. დაქვრივებულ ქეთევანს დარჩა ქალ-ვაჟი — თეიმურაზი და ელენე. ალექსანდრე კვლავ სამეფოს დაუბრუნდა. ქვეყნის არეულობისა და სხვადასხვა საშიშროების გამო ქეთევანმა თეიმურაზი შაჰ-აბასთან გაგზავნა.

შაჰ-აბასმა, როგორც კი დავითის სიკვდილი და ალექსანდრეს დაბრუნება შეიტყო, თავის კარზე აღზრდილ გამაჰმადიანებულ კონსტანტინე-მირზას უბრძანა, წასულიყო კახეთში, მოეკლა მოხუცებული მამა, მოეკლა ღვიძლი ძმა გიორგი და თვითონ ასულიყო კახეთის სამეფო ტახტზე.

გამხეცებულმა კონსტანტინე-მირზამ შეასრულა ბრძანება, შემდეგ მამისა და ძმის მოკვეთილი თავები, ვითარცა ძვირფასი ძღვენი, „მამობილს“ გაუგზავნა, მათი გვამები კი აქლემს აჰკიდა და ალავერდს გაგზავნა დასამარხად. ქეთევანმა პატივით დაკრძალა მამამთილისა და მაზლის ცხედრები.

სისხლში გასვრილმა კონსტანტინემ ქეთევანს ცოლობა სთხოვა: „შეგირთავ ცოლად და შენც მორჩილ მექმენ, რამეთუ ესრეთ არს წესი და ჩვეულება სჯულად მაჰმადისაო“. კონსტანტინე კარგად ხედავდა დედოფლის ავტორიტეტს მთელს სამეფოში და მამისა და ძმის სისხლის საფასურად მითვისებულ ტახტზე განმტკიცებას უფრო ესწრაფოდა, ვიდრე ქეთევანის სილამაზეს.

ქეთევანმა კახეთის დიდებულები იხმო, ყოველივე აუწყა და უთხრა, თუ სარწმუნოებისა და ქვეყნის ღირსებას ვერ დავიცავთ, ქართლს დავბრუნდებიო, მუხრანში. დიდებულებმა ერთგულება შეჰფიცეს დედოფალს, შეიკრიბნენ, მიუვარდნენ სჯულისა და ტრადიციების შემგინებელს და სიცოცხლეს გამოასალმეს. ქეთევანმა ურწმუნო კონსტანტინეს გვამი გვარისათვის შესაფერი პატივით დაკრძალა, შაჰს დიდძალი ძღვენი გაუგზავნა და სთხოვა, მეფედ თეიმურაზი დაემტკიცებინა. მანამდე კი, დროებით, თვითონ იტვირთა სამეფოზე ზრუნვა.

შაჰ-აბასი შეშინდა: კახეთი განმიდგება, ქართლს შეუერთდება და საბოლოოდ დავკარგავო, ამიტომ სასწრაფოდ დიდი პატივით დააბრუნა საქართველოში უფლისწული თეიმურაზი.

გაიხარა წმიდა დედოფალმა შვილის ხილვით, გაიხარა მთელმა სამეფომ ქრისტიანი უფლისწულის დაბრუნებით. მეფე იკურთხა და ქვეყანაში დროებით სიმშვიდემ დაისადგურა. ახალგაზრდა მეფემ გურიელის ასული ანა შეირთო. მეფე-დედოფალს ორი ვაჟი და ერთი ასული — ლევანი, ალექსანდრე და თინათინი შეეძინათ. მალე ანა დედოფალი გარდაიცვალა. შაჰის იძულებით თეიმურაზმა ლუარსაბ II-ის და, ხორეშანი შეირთო, შაჰმა კი ხორეშანის და — ელენე მოიყვანა ცოლად. ასე ცბიერებით „დაუმოყვრდა“ იგი ქართლ-კახეთის სამეფოს, ნამდვილად დამოყვრებულ ქართლსა და კახეთს შორის კი მუდმივად თესავდა განხეთქილების ღვარძლს.

შაჰ-აბასმა 1614 წელს ელჩი გამოუგზავნა თეიმურაზს და ერთგულების ნიშნად შვილი სთხოვა მძევლად. იცოდა თეიმურაზმა შაჰის ვერაგობა, მაგრამ დიდებულების იძულებით უმცროსი ვაჟი, ალექსანდრე მაინც გაგზავნა სპარსეთში, თან დედაც — წმიდა ქეთევანიც გააყოლა: „ჰგონებდა პატივისცემასა დედისასა შაჰ-აბასისაგან“. შაჰმა ჯერ უფროსი შვილი, ლევანი ითხოვა, შემდეგ კი თეიმურაზსაც შეუთვალა: რადგან ამისთანა ერთგული კაცი ხარ, შენც მოდი და მნახეო“. ყველასათვის ნათელი გახდა შაჰის სურვილი: მას სურდა კახეთის სამეფო კარისთვის ერთად მოეყარა თავი და ერთიანად შეემუსრა. დრო აღარ ითმენდა. თეიმურაზი და ლუარსაბი შეითქვნენ და გაერთიანებული ძალებით სძლიეს ჟალეთში დაბანაკებულ მტერს. შემდგომ დაიწყო ქართლის ცხოვრების უსაშინლესი პერიოდი. კახეთის დასალაშქრად გამზადებულმა შაჰ-აბასმა მძევლები — წმიდა ქეთევანი და მისი შვილიშვილები — შირაზს გაგზავნა, თვითონ კი კახეთს შეესია. მტერმა ააოხრა სამეფო კარი, შერყვნა ეკლესია-მონასტრები, გადაასახლა და დააცარიელა სოფლები. ქვეყანა შიმშილმა და ძალადობამ მოიცვა. უსჯულოებმა ცეცხლს მისცეს კახეთი. სამასი ათასზე მეტი ქართველი სპარსეთში გადაასახლეს, გაუდაბურებულ ქვეყანაში კი ულუსები ჩამოასახლეს. დამარცხებული მეფეები იმერეთის მეფეს, გიორგის შეეხიზნენ.

შირაზს გადასახლებიდან ხუთი წლის შემდეგ შაჰმა ქეთევანს ჩამოაშორა თეიმურაზის ძენი, ისპაანს წაიყვანა და დაასაჭურისა. ალექსანდრემ ტანჯვას ვერ გაუძლო და გარ-

დაიცვალა, ხოლო ლევანი შეიშალა.

სამშობლოს ხვედრით შეძრწუნებული წმიდა დედოფალი, რომელმაც შვილიშვილების უბედურება არ იცოდა, შირაზის მმართველი, გათათრებული ქართველის, იმამ-ყული-ხან უნდილაძის სასახლეში ცხოვრობდა. ნაქართველარი თათარი დიდი პატივით ეპყრობოდა ქეთევანს და ამბობდა, დიდად საპატიო სტუმარი არისო ჩვენი, ის კი არ არის ტყვე, ჩვენ თვითონ ვართო მისი ტყვეები. მისი ბრძანებით წმიდა დედოფალს არ უმხელდნენ, თუ რა საშინელი ბედი ეწიათ ბატონიშვილებს — ლევანსა და ალექსანდრეს.

ათი წელი იტანჯებოდა დედოფალი „საპატიო“ ტყვეობაში. მარხვით, ლოცვით, ქვაზე წოლით გაილია დედოფლის სხეული. მაინც მხნედ იყო, უვლიდა, ზრუნავდა და ზედ დაჰფოფინებდა თავის სამწყსოს — მის გამგებლობაში მყოფ ოციოდე ქართველს. ხედავდა გულმრისხანე შაჰი, რომ „უდრეკ იყო დედოფალი“, ისევ წმიდა სამებას სასოებდა კახეთის მანათობელი ვარსკვლავი, ჯვარცმულ მაცხოვარს ავედრებდა თავის ჯვარცმულ ქვეყანას და ემზადებოდა დიდი მისიისათვის. უსჯულო აბასმა გადაწყვიტა, რჯული გამოეცვლევინებინა ქეთევანისათვის. მისი უზნეობა და თავხედობა იქამდეც მივიდა, რომ ცოლობა სთხოვა ზნესრულ დედოფალს და ეს მოხდა სწორედ იმ დღეს, როცა წმიდანმა თავისი შვილიშვილების ბედი შეიტყო.

შაჰმა იმამ-ყული-ხანს შეუთვალა: „ქეთევან დედოფალი თუ გათათრდეს, ნურას აწყენ და თუ არ გათათრდეს, აწამე და სასჯელით მოკალიო“. შეძრწუნდა უნდილაძე, მოციქულის პირით შეუთვალა: „ბერი დედაკაცი არის და ახლა ეს არ გათათრდება, რას აქნევ ამის გათათრებას, თქვენთვის სირცხვილი არისო მისი სიკვდილი“. შაჰ-აბასი გაბრაზდა, ბრძანების სასწრაფოდ აღსრულება უბრძანა შირაზის ხანს. ნაქართველარი შეევედრა დედოფალს, სხვის დასანახად მაინც აღიარე მაჰმადი, გულში კი ქრისტიანად დარჩიო. წმიდა ქეთევანმა შორს დაიჭირა უნდილაძის ნათქვამი და წამებისთვის განემზადა: „მეუფეო ქრისტე, სიტყუაო ღვთისაო, არა შუენოდა მხევლისა შენისად უარის ყოფაჲ შენი, ნუ მიმცემ ეშმაკსა მხევალსა შენსა“, შეევედრა მაცხოვარს, მიიღო წმიდა ზიარება და უშიშრად დადგა ჯალათების წინაშე.

ხალხით გაჭედილ მოედანზე გაიყვანეს დედოფალი. ჯალათებმა მოიტანეს სპილენძის ქვაბები, დაანთეს ცეცხლი, შეაწყვეს შიგ შანთები გასახურებლად და სადღესასწაულოდ შემოსილი დედოფალი კოცონის წინ დააყენეს. მხოლოდ ერთი რამ ითხოვა წმიდა მოწამემ: „დედის ნაშობნი ხართ თქვენც, ნუ შეურაცხმყოფთო სიშიშვლით“. უსჯულოებმა ენით აუწერელი სისასტიკით აწამეს დედოფალი: გახურებული რვალის ქვაბი დაამხვეს თავზე, მარწუხებით დაუწყლულეს მკერდი, გავარვარებული შამფურები გაუყარეს მკერდიდან ზურგში, ფრჩხილები დააძრეს, ხორცი დააგლიჯეს, ლურსმნიან ფიცარზე დააგდეს და ზედაც ლურსმნიანი ფიცარი დააჭედეს, ბოლოს გახურებული ბარით შუბლი გაუპეს. გამძვინვარებულმა ჯალათებმა ნადირთა სათრევად დააგდეს წმიდა დედოფლის გვამი, მაგრამ ღმერთმა მოავლინა სასწაული — წმიდანის ნეშტს ნათელი დაადგა.

წამების მხილველმა ფრანგებმა წმიდა დედოფლის ნაწილები დიდი პატივით წაასვენეს, საკმევლით და მურით გაჟღენთილ ქსოვილში გაახვიეს და კათოლიკურ მონასტერში დაასვენეს, რამდენიმე ხნის შემდეგ კი კახეთის მეფეს, თეიმურაზს გამოუგზავნეს თავისი წმიდა დედის თავი მკლავთან და სხვა ნაწილებთან ერთად.

თეიმურაზმა კიდევ ერთხელ დაიტირა თავისი დედა და ძენი, შემდეგ კი პატივით დაკრძალა ალავერდის წმიდა გიორგის ტაძარში.

„წმიდათა ცხოვრებანი“, წ. II. თბილისი, 2008 წ.

საეკლესიო კალენდარი

1 ოქტომბერი (პარ.) — წმ. მთავარმოწამის ბიძინა ჩოლოყაშვილის და წმ. მოწამეთა შალვასი და ელიზბარის, ქსნის ერისთავთა ხსენება (1661 წ.);

3 ოქტომბერი, სულთმოფენობიდან მე-19 კვირა — წმ. დიდმოწამე ევსტათი პლაკიდას ხსენება (დაახ. 118 წ.);

5 ოქტომბერი (სამშ.) — წინასწარმეტყველ იონას ხსენება (VIIIს. ქრისტეს წინ);

6 ოქტომბერი (ოთხშ.) — მუცლადღება პატიოსნისა და დიდებულისა წინასწარმეტყველისა, წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოანესი;

7 ოქტომბერი (ხუთშ.) — პირველმოწ. თეკლა მოც. სწორისა ხსენება (Iს);

9 ოქტომბერი (შაბ.) — მიცვალება წმიდისა მოციქულისა მახარებელისა ᲘᲝᲐᲜᲔ ღმრთისმეტყველისა (II ს. დასაწყ.);

— დღესასწაული ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატისა;

12 ოქტომბერი (სამშ.) — ღირ. ონოფრე გარეჯელის, საკვირველთმოქმედის ხსენება (XVIII ს.);

14 ოქტომბერი (ხუთშ.) — დღესასწაული საუფლო კვართისა და ღმრთივბრწყინვალე და მირონ-მდინარე სვეტისა;

— საფარველი ყოვლადწმიდისა დედუფლისა ჩვენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა;

— მოც. სწორთა – მეფისა მირიანისა და დედოფლისა ნანას ხსენება;

15 ოქტომბერი (პარ.) — არგვეთის მთავართა დავით და კონსტანტინე მხეიძეთა ხსენება (740);

16 ოქტომბერი (შაბ.) — მღვდელმოწ. დიონისე არეოპაგელის ხსენება;

17 ოქტომბერი, სულთმოფენობიდან 21-ე კვირა — მოწ. ევდემოზ კათოლიკოსის ხსენება (1642 წ.). ᲨᲐᲕᲜᲐᲑᲐᲓᲝᲑᲐ;

18 ოქტომბერი (ორშ.) — ღირ. მამის გრიგოლ ხანძთელის ხსენება (861 წ.);

19 ოქტომბერი (სამშ.) — წმიდისა და ყოვლადქებულისა მოციქულისა ᲗᲝᲛᲐᲡᲘ (Iს.);

22 ოქტომბერი (პარ.) — მოც. ᲘᲐᲙᲝᲑ ალფესის ხსენება (I ს.);

24 ოქტომბერი, სულთმოფენობიდან 22-ე კვირა — VII მსოფლიო კრების წმიდა მამათა ხსენება (787 წ.);

26 ოქტომბერი (სამშ.) — დღესასწაული ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატისა;

29 ოქტომბერი (პარ.) — ღირ. ზენონ იყალთოელის ხსენება (VI ს.);

31 ოქტომბერი, სულთმოფენობიდან 22-ე კვირა — წმიდისა დიდებულისა, ყოვლად ქებულისა მოციქულისა და მახარებელისა ᲚᲣᲙᲐᲡᲘ (Iს.).

ჩვენი მოძღვარი

კვირის შვიდეულების კვირა დღით დაწყების თაობაზე

საპასექო წელიწადი მოიცავს დროის ინტერვალს მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომის დღიდან მომდევნო აღდგომამდე და იგი პირობითად სამ პერიოდად იყოფა:

პირველი — აღდგომიდან ყოველთა წმიდათა კვირიაკემდე (სულთმოფენობის მომდევნო კვირა);

მეორე — ყოველთა წმიდათა კვირიაკიდან მეზვერისა და ფარისევლის კვირამდე;

მესამე — მეზვერისა და ფარისევლის კვირიდან მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომამდე.

პირველი პერიოდი 8 შვიდეულს მოიცავს, მეორე პერიოდი — 32, 33, 36 ან 37 შვიდეულს (რისი მიზეზიც აღდგომის მოძრავი დღესასწაული გახლავთ), ხოლო მესამე პერიოდი კი — 10 შვიდეულს.

აღდგომის დღესასწაული (ძვ. სტ.-ით) 22 მარტიდან 25 აპრილის ჩათვლით მოიწევა, რის შესახებაც წმ. იოანე ოქროპირის სწავლებას მოვუხმობთ. იგი საუბრობს რა აღდგომის დღესასწაულზე, პასექის აღსრულების უადრეს და უგვიანეს ვადებს მიუთითებს.

მისი განმარტებით, თუ სავსემთვარობა 20 მარტს (ანუ გაზაფხულის ბუნიობის თარიღზე, 21 მარტზე ადრე — დკ. ბ.გ.) მოიწია, დავუტევებთ მას და მომდევნო სავსემთვარობას დაველოდებით, ხოლო თუ სავსემთვარობა 21 მარტს ან მის შემდგომ უახლოეს დღეებში მოიწევა, ჩვენ მას ვღებულობთ. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ სავსემთვარობისას არ უნდა იყოს კვირა დღე, ხოლო შვიდეულის სხვა დღე მისაღებია. მაშინ ცხადია, რომ თუ 21 მარტს (დღეღამტოლობისას) სავსემთვარობა (მთვარის მე-14 დღე) დადგება, და ეს დღე დაემთხვევა შაბათს, **ქრისტიანული პასექის უადრესი თარიღი 22 მარტი — კვირა დღე იქნება.**

ასევე, თუ მარტის სავსემთვარობა 19 მარტს დაემთხვა, დავუტევებთ მას და დაველოდებით სავსემთვარობას, რომელიც 30 დღის შემდეგ — 18 აპრილს მოიწევა. ამასთან, თუ 18 აპრილი (ე.ი. სავსემთვარობა) კვირა დღეს დაემთხვა, აღდგომის დღე მომდევნო კვირა — 25 აპრილი იქნება, რომელიც არის კიდეც ქრისტიანული პასექის უგვიანესი თარიღი.

ამგვარად, სხვადასხვა (კალენდარული წლის) საპასექო წელიწადი კვირის შვიდეულის დღეთა განსხვავებულ ოდენობას მოიცავს. ასე განვსაჯოთ, თუ კალენდარული წელიწადი 365 დღეღამის ხანგრძლივობისაა (ნაკიან წელს კი 366 დღე-ღამისა), რაც დაახლოებით 52 შვიდეულს შეადგენს (52X7=364), სხვადასხვა საპასექო წელიწადში კვირის შვიდეულები [8+(32, 33, 36 ან 37)+10 =] 50, 51, 54 ან 55 იქნება.

საეკლესიო განჩინებით, კვირის შვიდეულები აღდგომიდან სულთმოფენობამდე კვირა დღით იწყება და შაბათით მთავრდება, ხოლო სულთმოფენობიდან მომდევნო აღდგომამდე კი ორშაბათი დღით იწყება და კვირა დღით მთავრდება. შესაბამისად ამისა, ზატიკის პერიოდში (აღდგომიდან სულთმოფენობამდე) მეორე კვირას მეორე შვიდეული მოსდევს, მესამე კვირას -- მესამე შვიდეული და ა.შ., ხოლო სულთმოფენობიდან კი პირველ კვირას -- მეორე შვიდეული, მეორე კვირას -- მესამე შვიდეული და ა.შ. სწორედ ამის გამოა, რომ აღდგომის შემდეგ პირველი კვირა -- თომას კვირა, აღდგომიდან მეორე კვირად იწოდება (რადგან თვით აღდგომაა ზატიკის პერიოდის პირველი კვირა), მენელსაცხებლე დედათა კვირა (აღდგომიდან რიგით მეორე კვირა) -- აღდგომიდან მესამე კვირად და ა.შ., ხოლო სულთმოფენობიდან პირველი კვირა (ანუ ყოველთა წმიდათა კვირიაკე), სულიწმიდის გარდამოსვლიდან პირველ კვირად, მეორე კვირა -- სულიწმიდის გარდამოსვლიდან მეორე კვირად და ა.შ.

ქვემოთ მოკლედ წარმოვაჩენთ თეოლოგიურ ხედვას იმის შესახებ, თუ რამ განაპირობა საპასექო წლის განმავლობაში კვირის შვიდეულების კვირა დღით დაწყება, რისთვისაც საღვთისმეტყველო სწავლებას მოვუხმობთ.

(გაგრძელება მე-10 გვ.)

(დასაწყისი მე-9 გვ.)

ბიბლიიდან ცნობილია, რომ შესაქმეს პირველი დღე კვირა იყო, ხოლო მეშვიდე დღე — შაბათი. შემდგომად (ბიბლიური) მე-6 დღისა ღმერთმა განასრულა რა **„საქმენი მისნი“** (დაბად. 2. 2), აკურთხა... **„დღე მეშვიდე და წმიდაყო იგი, რამე-თუ მას შინა დასცხრა ყოველთაგან საქმეთა მისთა“** (დაბად. 2. 3). ამ მუხლებთან მიმართებაში წმ. იოანე ოქროპირი ბრძანებს, რომ... „მეექვსე დღეს (ბიბლიურ პარასკევს – დკ. ბ.გ.) ღმერთი ქმნის ადამიანს და შემდეგ, მეშვიდე დღეს განისვენებს. მომდევნო დღიდან კი (ანუ კვირიდან — დკ. ბ.გ.), რომელიც კვლავ პირველია, იგი ყველა ქმნილებას დადგენილი წესით განუჩინებს სვლას“.

სახარებიდან ვიცით, რომ მაცხოვარი ჯვარს ეცვა პარასკევს, ხოლო კვირადღეს კი მკვდრეთით აღდგა. წმ. იოანე ოქროპირის განმარტებით, მაცხოვრის „ჯვარზე ვნების დღე იმიტომაც იყო პარასკევი, რომ ამ დღეს (ბიბლიურ მეექვსე დღეს, პარასკევს — დკ. ბ.გ.) შეიქმნა ადამიანი, და აუცილებელი იყო, რომელ დღესაც დაეცა იგი, იმ დღეს მომხდარიყო მისი აღდგენა“. იგივე აზრია გატარებული წმ. ეფრემ ასურის სწავლებაშიც, რომელიც მიიჩნევს, რომ... „მაცხოვრის (ჯვარზე ვნების — დკ. ბ. გ.) აღსრულების დღე, ადამის დაცემის დღეს ეთანადება“.

ზემოთქმულთან დაკავშირებით კვლავ დავძენთ, რომ ხსენებულ წმიდა მამათა სწავლებით, **ადამის ცოდვით დაცემის დღედ პარასკევია მიჩნეული, და რომ ეს პარასკევი უშუალო კავშირშია როგორც მაცხოვრის ჯვარზე ვნების დღესთან, ასევე ბიბლიურ მეექვსე დღესთანაც**. აქ იმასაც შევნიშნავთ, რომ წმიდა მამათა სწორედ ამ სწავლებას ემყარება წმ. აბუსერიძე ტბელიც (XIIIს.), რომელიც საუბრობს რა მაცხოვრის ცხოველსმყოფელ ვნებაზე, აღნიშნავს:.. **„და რომელსა დღესა ექსორია ვიქმნენით, მასვე დღესა (იგულისხმება ვნების შვიდეულის პარასკევი — დკ. ბ.გ.) ჯერ-იჩინა ხსნაი ჩუენი“.**

წმ. იოანე ოქროპირი გვმოძღვრავს, რომ მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომის დღე... „არ მიეკუთვნება ერთ რომელიმე და ისიც შემთხვევით (მოწეულ – დკ. ბ.გ.) დღეს, არამედ მისი აღნიშვნა ემთხვევა სწორედ იმ დროს, რომელიც აკმაყოფილებს რამდენიმე წინასწარ განსაზღვრულ ვადას“. „ეწადა რა (ცოდვით დაცემული — დკ. ბ.გ.) ადამიანის აღდგენა და მისი ხსნა... (ღმერთმა ამისათვის — დკ. ბ.გ.) შესაბამისი დრო და სათანადო ხერხი გამოარჩია. დრო იმისათვის, რომ დროულად შესდგომოდა კურნებას, ხერხი კი ისეთი, რომელიც უმჯობესი იქნებოდა განწმენდისა და აღდგენისათვის“. სწორედ ამიტომ... „ისურვა და ზუსტად ისევე, როგორც პირველი ადამიანის შექმნისას (თავდაპირველი) სუფთა დრო გამოიყენა,... რომელიც შემდგომად ცოდვით დაცემისა შეიბღალა პირველ ადამიანებთან ერთად“. ყოველივე ამას უფალი გვიჩვენებს დროთა სხვადასხვა ნიშნებით, რისთვისაც ახდენს კიდეც მათ გაერთიანებას, და საღმრთო განგებულებით, როცა... „მოცემული შვიდეული (იგულისხმება ვნების შვიდეული — დკ. ბ.გ.) სრულ თანხმობაში აღმოჩნდა (დროთა ნიშნებით — დკ. ბ.გ.) ბიბლიურ შვიდეულთან, ანუ ერთ შვიდეულში კვლავ მოიყარა თავი **ღღეღამტოლობამ, სავსემთვაროვამ და მეექვსე დღემ -- პარასკევმა...** მხოლოდ მაშინ (იუდეველთა პასექის დროს — დკ. ბ.გ.) ევნება ჯვარზე... და აღასრულებს ცოდვით დაცემული ადამიანის აღდგენას.

ამგვარად, მაცხოვარი ჯვარზე ევნო რა პარასკევ დღეს, აღასრულა ცოდვით დაცემული ადამიანის აღდგენა და მეშვიდე დღეს — შაბათს განისვენა, რადგან აღარ იყო დარჩენილი რაიმე საქმე, რომელიც დაცემული ადამიანის აღდგენისათვის იყო საჭირო.

შედარებისათვის კვლავ ბიბლიურ მეშვიდე დღეს — შაბათს გავიხსენებთ, როცა ღმერთი „... დასცხრა ყოველთაგან საქმეთა მისთა“.

შემდგომად ამისა მოიწია კვირადღე, დღე, რომლითაც აღმოგვიბრწყინდა ჩვენ... „ნათელი აღდგომისა, და ეს ყველაფერი მოხდა (არა რაიმე შემთხვევით გარემოებათა გამო, არამედ — დკ. ბ.გ.) დროთა ნიშნების თანხვედრის, მათ შორის კავშირის გამო. სწორედ ეს დღე (კვირა — დკ. ბ.გ.) იყო ისევ პირველი ყოველ დროთა შორის, რადგან როგორც მაშინ ამ დღეს (კვირას — დკ. ბ.გ.) იყო დასაწყისი (ქმნული — დკ. ბ.გ.) ნათლისა, ამჯერადაც კვირა დღე გახლდათ დასაწყისი სულიერი აღდგომისა“. აღდგომისა, რომლითაც მორწმუნეებს აღმოუბრწყინდათ... **„მარადიული“...“ნათელი დღე -- პასექი საიდუმლო“...**

ვფიქრობთ, ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ნათელია, თუ რატომ განაჩინა წმიდა ეკლესიამ კვირის შვიდეულების დაწყება აღდგომიდან სულთმოფენობამდე კვირა ანუ „პირველი“, „მარადიული“, „ნათელი“ დღით, რათა მორწმუნეებმა გააცნობიერონ საღმრთო განგებულების ის საკითხები, რომლებიც მაცხოვრის ამქვეყნიურ ცხოვრებასთან და ბრწყინვალე აღდგომის დღესთან არის დაკავშირებული.

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ლიტურგიკის ლექტორი დეკანოზი ბიძინა (გუნია)

გზა შერიგებისა და ჩატეხილი ხიდის აღდგენისა

შემოდგომა

სარედაქციო კოლეგია: სვეტლანა ქეცბა, დეკანოზი ბიძინა (გუნია),
ლია სეხნიაშვილი, ალექსანდრე ფარფალია, ირინა ქეცბა
პასუხისმგებელი რედაქტორი ციცინო ჯულუხიძე

სსიპ „სულიერებისა და კულტურის ცენტრი“
მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზ. №37, IV სართ. ტელ.: 93-17-20, 895-41-21-70. ტირაჟი: 500 ცალი